BOLSHEVISM IN GEORGIA – SEEN FROM THE POINTS OF VIEW OF THE ARCHPRIEST NIKITA TALAKVADZE

დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თვალით დანახული ბოლშევიზმი საქართველოში

Sergo Vardosanidze

Doctor of Historical Sciences. Professor

https://orcid.org/0000-0002-1198-5605
sergovar@gmail.com
+995599575190

Abstract

Three historical events were significantly important for the history of Georgia in the first half of the 20th century. 1. The restoration of autocephaly of the Georgian apostolic orthodox church (March 12, 1917). 2. the establishment of Tbilisi State University (February 8, 1918); 3. The declaration of the state independence of Georgia (May 26, 1918). The archpriest Nikita Talakvadze was one of the ecclesiastic individuals, who took an active part in these processes. He had completed the higher ecclesiastical education, was distinguished orator and the tireless propagandist for the freedom of the homeland and the mother church. He was the deserving companion-in-arms of the catholicos-patriarch Kyrion of Georgia, he criticized all the enmities, that took place in the affairs of the newly-exempted church. He has written the vast number of notes about both — the religious and secular life. It is noteworthy to mention the political history of Georgia in 1917-1932 written by him, describing the democratic republic of Georgia as well as the Bolshevistic occupation rule, political repressions, about the attitude of the Bolsheviks regarding the principles of the national and state regulations against the Georgian national interest of the Georgian people. The author was bravely unmasking so called Soviet experiments: collectivization, industrialization, cultural revolution, he is demonstrating the internal conflicts and violence of the occupational authorities, the destructive results of the aggressive atheistic policy that lead to the Georgian church in the ruined condition. The writings of the archpriest Nikita Talakvadze is the precious source for the history of Georgia in the first half of the 20th century.

Keywords: archpriest Nikita Talakvadze; Bolshevik occupational authority; political repressions; collectivization; industrialization; cultural revolution; catholicos-patriarch Kyrion of Georgia;

სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

https://orcid.org/0000-0002-1198-5605
sergovar@gmail.com
+995599575190

აბსტრატი

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამი ისტორიული მოვლენა: 1. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წლის 12 მარტი); 2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება (1918 წლის 8 თებერვალი); 3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1918 წლის 26 მაისი). დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე იყო ის სასულიერო პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესებში, მას ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება, გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, იყო სამშობლოს და დედა ეკლესიის თავისუფლების დაუცხრომელი პროპაგანდისტი. იგი იყო კათალიკოზ-პატრიარქ კირიონის ღირსეული თანამებრძოლი, აკრიტიკებდა ყველა იმ მანკიერებებს, რასაც ადგილი ჰქონდა ახლად განთავისუფლებული ეკლესიის საქმიანობაში. მან მომავალ თაობას დაუტოვა ვრცელი ჩანაწერები, რომელიც ეხება როგორც საეკლესიო ასევე საერო ცხოვრებას. განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ აღწერილი საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1917-1932 წლებში, როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ასევე ბოლშევიკურ საოკუპაციო ხელისუფლებაზე, პოლიტიკურ რეპრესიებზე, ბოლშევიკების დამოკიდებულებაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებზე, რაც მიმართული იყო ქართველი ერის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ.ა ვტორი გაბედულად ამხელს ე.წ. საბჭოურ ექსპერიმენტებს: კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, კულტურული რევოლუციას, აჩვენებს საოკუპაციო ხელისუფლების მმართველი კლანების შიდადაპირისპირებებს და მოძალადეობას. აგრესიული ათეისტური პოლიტიკის დამანგრეველ შედეგებს, რამაც განადურებამდე მიიყვანა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ჩანაწერები ძვირფასი წყაროა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის.

საკვანძო სიტყვები: დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე; კათალიკოზი კირიონი; ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება; პოლიტიკური რეპრესიები; კოლექტივიზაცია; ინდუსტრიალიზაცია; კულტურული რევოლუცია;

შესავალი

1921 წლის თებერვალში რუსეთის საოკუპაციო ჯარის და ადგილობრივი მოღალატე ქართველი ბოლშევიკების მხარდაჭერით დასრულდა საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ისტორია. ახალმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი გადასცა თურქეთს, რუსეთის ფედერაციას, სომხეთს, აზერბაიჯანს, დარჩენილ ტერიტორიაზე შექმნა ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი, დაიწყო არნახული რეპრესიები. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე იმ სასულიერო პირთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისავის. ის ბედნიერიც იყო და უბედურიც, ბედნიერი იმიტომ, რომ მოესწრო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და სახელმწიფოებრივი დაამოუკიდებლობის გამოცხადებას, უბედური იმიტომ რომ 1921 წელს რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა მოახდინეს ქვეყნის ოკუპაცია. მის მოგონებათა წიგნში, რომელსაც „მოქალაქე მღვდლის დღიური“ ჰქვია, ისტორიკოსის თვალით არის დანახული ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ბოლშევიკურ საქართველოში ხდებოდა. აგრესიული ათეიზმი, ქვეყნის დანაწევრება, ნაციონალ-უკლონიზმი, კათალიკოზ ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრების დაპატიმრება, საბჭოთა ექსპერიმენტები: ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. ამ ჩანაწერებში ობიექტურადაა დანახული საბჭოთა სისტემის მანკიერი მხარეები. ჩანაწერები ძვირფასი საისტორიო წყაროა ამ ეპოქის ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მეთოდები

კვლევა, ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემური ანალიზი.

შედეგები

სტატიაში შესწავლილია მეოცე საუკუნის 20-30 იან წლებში საქართველში ბოლშევიზმის ბატონობის თავისებურებანი, ნაჩვენებია ის დიდი წინააღმდეგობანი, რაც ახალი სისტემის დამკვიდრებას ახლდა. როგორი იყო ინტელიგენციის, საზოგადოების შეგნებული ნაწილის წინააღმდეგობა ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ და რა სისასტიკეს მიმართავდნენი ისინი საზოგადოების დასათრგუნად და შიშის ატმოსფეროს შესაქმნელად.

დისკუსია

თავისუფლების იდეა მცირერიცხოვანი ერის გადარჩენის მთავარი ძალაა. როდესაც ერი კარგავს თავისუფლების სურვილს, მაშინ მთავრდება მისი ისტორია. ქართველ ერს საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან ბრძოლაში ძალას მატებდა თავისუფლების და დამოუკიდებლობის თანდაყოლილი სულისკვეთება. იყო პერიოდები, როდესაც ჩვენი ქვეყანა დამპყრობლების სათარეშო ასპარეზად ქცეულა, მაგრამ უკიდურესი განსაცდელების ჟამს ჩვენს ხალხს საკუთარ თავში ყოველთვის მოუნახავს თავისუფლების იდეის გარშემო გამაერთიანებელი ძალა და მოუხერხებია მტრის დამარცხება. დამპყრობელი ყოველთვის ცდილობდა დაპყრობილ ხალხში ჩაეკლა ეროვნული სიამაყის, თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილი. ხშირ შემთხვევაში ახერხებდა წარჩინებული

ზედაფენის მოსყიდვას და თავის სამსახურში ჩაყენებას, მაგრამ, საბედნიეროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ეს მედროვე კომფორმისტები მიუღებელი იყო და თავისუფლების იდეა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანები განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდნენ.

რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ახალი ხელისუფლება შეეცადა დაჩქარებული წესით მოეხდინა ქართველი ხალხის გარუსება. ამ მიზნით მან არაერთი ნაბიჯი გადადგა. გარკვეულწილად მოახერხა საზოგადოების ზედაფენის მოსყიდვა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ახალგაზრდების ჯგუფმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების დროშა აღმართა და თავისი მრავალმხრივი საქმიანობა წარმართა ქართველ ერში ამ იდეის პოპულარიზაციისათვის.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ის სასულიერო პირი იყო, რომელიც კიევის სასულიერო აკადემიის წარჩინებით დასრულების შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, აქტიურად ჩაერთო ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დეკანოზი 1903 წელს ფოთში დაუპირისპირდა რენეგატ ქართველ ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძეს, რომელიც „იყო დიდი მოყვარული რუსებისა, მას ქართული და ქართველობა არა სწამდა, თვითონაც გარუსებული იყო. არც ეხერხებოდა ლაპარაკი ქართულად. იგი იყო რუსეთის ბატონობის ჭეშმარიტი იდეოლოგი“.[1]

ეპისკოპოსი დიმიტრი იმხანად აქტიურად მუშაობდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოსადევნად. შემდეგ დაუპირისპირდა ქართველ ავტოკეფალისტებს 1906 წლის პეტერბურგის სინოდის წინარე სხდომაზე. მანვე, რუსეთის პირველი საეკლესიო კრების დავალების შესაბამისად, მოამზადა დადგენილება, რომელშიც დაგმო 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოველში ქართველი სამღვდელოების მიერ გამოცხადებული ავტოკეფალიის აღდგენა და მოუწოდა მათ სინანულისაკენ. დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ 1916 წელს ახალდადგენილ ეგზარქოს პლატონს თბილისში მიღებაზე მოურიდებლად უთხრა: ახლა იქნებ ესეც ახდეს და შენ დროს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვოს და შენ უკანასკნელი ეგზარქოსი იყო საქართველოსიო.

ეკლესიური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ სასულიერო პირს ბევრი უსიამოვნება-განსაცდელი დაატყდა თავს, მაგრამ თავისი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატია. მან ავტოკეფალიის აღდგენის დღეს - 1917 წლის 12 (25) მარტს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში ისაუბრა, რას ნიშნავდა ქართული ეკლესიისათვის ეგზარქოსობის მმართველობა: მათ „შელახეს და დაარღვიეს ეკლესიური, მსოფლიო კრებათაგან დადგენილი კანონები. ჩამოგვართვეს ჩვენი ძველი სიწმიდე სამლოცველოები, ტაძარ-მონასტრები ჩვენი მოწამებრივი ერის სისხლით ათასჯერ მორწყულნი... ესეც არ გვაკმარეს, ზნეობრივად იმზომ დაგვაქვეითეს ქართველი სამღვდელოება, რომ საკუთარი ხელით, ჩვენ თვითონ ვჩიჩქნიდით თვალებს უფლებააყრილ დედა ეკლესიას... წაგვკიდეს ერთმანეთს, დათესეს ჩვენში ისეთი ღვარძლი, რომ დღესაც, ამ განახლების და აღორძინების მომენტშიც კი, ვერ ავმაღლებულვართ და თავი ვერ დაგვიღწევია გამანადგურებელი ინტრიგებისათვის... მაგრამ ჩვენთან არს ღმერთი! დაჰკრა განახლების, აღორძინების და ჩვენი ეკლესიის აღორძინების ჟამმა... ჩვენი ეკლესია მუდამ

სინათლის, სიმართლის და სიხარულის მთესველი იყო, სანამ მის მაჯისცემას სხვა არ დაუდგა დარაჯად. ის არასოდეს არ ცდილობდა ერზე გაბატონებულიყო! ჩვენმა ეკლესიამ არ იცის, რა არის ევროპული ანუ სინოდალური კლერიკალიზმი. დემოკრატიული ერის ეკლესია არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა დევნილთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მზრუნველი დედა“[2].

ეს იყო საზოგადოებისადმი ეკლესიური თავისუფლების მნიშვნელობის მძლავრი გზავნილი. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მღვდელ კორნელი კეკელიძესთან ერთად, მტკიცედ იცავდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის პრინციპებს პეტერბურგიდან საეკლესიო საკითხებზე მოსალაპარაკებლად ჩამოსულ პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩთან, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში, რომელთაც ბეწვის ხიდზე იარეს და დაწყებული დიდი საქმე დააგვირგვინეს 1917 წლის სექტემბერში პირველი საეკლესიო კრებით და ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოზ-პატრიარქის არჩევით. სასულიერო პირი მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნას, ქვეყნის ევროპეიზაციის პირველ ნაბიჯებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი ხედავდა ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ისტორიული სენის - დაპირისპირება-გათითოკაცების უარყოფით შედეგებს და თავის გამოსვლებში, ქადაგებებში მკაცრად აკრიტიკებდა იმ პოლიტიკურ ძალებს, პირებს, რომელნიც გაერთიანების ნაცვლად აღრმავებდნენ ამ დაპირისპირებას. სამწუხაროდ, აღნიშნულმა დაპირისპირებამ და რეალური ვითარების შეუფასებლობამ დააჩქარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსასრული - 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. დეკანოზი ისტორიული სიზუსტით აღწერს თბილისის ოკუპაციას: „ქალაქში დიდი შიშიანობაა. მოელიან ქალაქის აკლებას და ქალების გაუპატიურებას - ხალხის ამოჟუჟვას... მთელი ღამე არ გვიძინია. თენდება. რიჟრაჟზე გამოველი ანჩისხატის ეზოზე გადამდგარ აივანზე და გადავხედე ციციანოვის აღმართს... გავიდა ცოტა ხანი... მოისმა რაღაც ბზუილი... ეგ მენშევიკების ჰაეროპლანები ახმაურდნენ და გაჯავრებულ კრაზანებივით ბზუილ-ბზუილით გაემართნენ ავჭალისაკენ... გაფრინდნენ ქალაქიდან... კარგად გათენდა... სულ იმ აღმართისაკენ ვიცქირები... იქიდან შემოვა წითელი ჯარი!.. რა იქნება!.. რა ხმები არ არის გავრცელებული! ფილიპე მახარაძე მოუძღვება წითელ არმიას თეთრი ცხენითო... დილის 8 საათი იქნებოდა... თოვლ-ჭყაპიანი დილა. ცივა. გადმოჭიდა წითელი ჯარის კავალერიამ თავი ავლაბრიდან ციციანოვის დაღმართზე. ჯარი სიმღერით მოემართება, ჩამოვიდნენ მუხრანის ხიდზე, აქ გზაში ჯარს დაუხვდნენ სომხის წვრილი ვაჭრუკანები, ბიჭ-ბუჭებს ტომრებით გზის პირას გამოეტანი ათ თხილი, წაბლი, ვაშლი, სთავაზობდნენ ჯარისკაცებს და შესძახოდნენ: ურაა!.. ურაა! ჯარიც უპასუხებდა: ურაააა! მოემართებოდნენ ხან სიმღერით, ხან მუსიკით. კავალერიას უკან მოჰყვებოდა ქვეითი ჯარი და ამ სახით 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი თბილისი გასაბჭოვდა.“[3]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო მოწინავე ქართველობისათვის, იმ ადამიანებისათვის, ვისაც ერის წინსვლა, წარმატება დამოუკიდებლობის გარეშე ვერ წარმოედგინათ. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე შეძრწუნებულია შექმნილი მძიმე ვითარებით და ცდილობს, ახსნას ჩვენი დამარცხების მიზეზები. „ოჰ! ღმერთო! რამდენი თვალთმაქცობა და ორპირობა ვნახე ამ მოკლე ხანში! სულ

ყველანი ვქურდავდით სამშობლოს! ასეთი ქვეყანა როგორ უნდა გამკლავებოდა რუსეთის ოთხ არმიას, ზღვა ჯარს!? გვიღალატა გვარდიამ! იმის მაგივრად, რომ კავალერია შეექმნათ და ერში სიჭრელე არ შეეტანათ, გვარდია რო არ შეექმნათ... და ყველანი ერთსულოვნად გამოსულიყვნენ, ვერ დაგვამარცხებდა ეს დიდი ჯარიც კი! უფალი, სამშობლო და ჯარი, თავისი მშობელი ერით, უნდა იყოს ერთი! ასეთი ქვეყანაა მხოლოდ უძლეველი“,[4] - გულისტკივილით შენიშნავდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, რაც სრული სიმართლე იყო. სამწუხაროდ, დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურნი ეროვნულ გვარდიას პარტიული ნიშნის მიხედვით ქმნიდნენ და ახალისებდნენ, მაგრამ ქვეყნის განსაცდელის ჟამს მათ ვერ მოახერხეს მოსახლეობის გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ. დეკანოზის მახვილ თვალს ადვილად შეუმჩნევია რუსებისაგან მოსყიდული თანამემამულეების ღალატი საკუთარი სამშობლოს მიმართ.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე განსაკუთრებული პატივისცემითა და სიამაყის გრძნობით აღწერს 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურ საოკუპაციო ჯარის ნაწილებთან გმირულად დაღუპული ახალგაზრდა იუნკრების დასაფლავების ცერემონიალს, რომელიც გაიმართა 1921 წლის 9 მარტს, რუსთაველის გამზირზე მდებარე სამხედრო ტაძრის ეზოში: „მიხეილის საავადმყოფოდან მოხდა კოჯრის მიდამოებში დახოცილ მეომართა გადმოსვენება... ასეთი დიდებული პროცესია არ ახსოვს ჯერ თბილისს, ზღვა ხალხი იყო, წინ ჯვარი, შავი ბაირაღი... ქალები წყვილ-წყვილად... ცოცხალი ყვავილებით ხელში, ოთხი გუნდი მგალობელთა. გავედით ვერის ხიდით რუსთაველის პროსპექტზე, აქედან სამხედრო ტაძრის გალავანში. 33 სამარეს პირი ჰქონდა ღია! აქ მეომრებს ანდერძი ავუგეთ, მე ვკითხულობდი ანდერძს-კურთხევანს... ბოლოს ყველამ დავიჩოქეთ. დიადი სურათი იყო, სიტყვები არ ყოფილა... დიდი დემონსტრაცია... ბოლშევიკები განცვიფრებულები გვიცქეროდნენ“.[5]

ოკუპაციის პირველივე დღეებიდან აშკარად გამოჩნდა, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას. საქართველო „კონტრიბუციის სახით 50 მილიარდით დაიბეგრა, ვაჭრები გაწურეს, ბევრი დაიჭირეს, ციხე-საპყრობილენი სავსეა მენშევიკებით... ყოველ ღამე და დღეს იხვრიტრება აურაცხელი ხალხი, რამდენიმე სოფლის მღვდელიც ჩაუსვამს „ჩეკას“ ციხეში „კონტრევოლუციისათვის“... ნამდვილი ღვთის რისხვაა... მატერიალიზმ-სოციალიზმი და დიქტატურა გვანადგურებს“.[6]

თუ წინათ „პრავოსლავნიკობით“, ახლა „კომუნიზმით“ სურთ ჩვენი დამონებაო, - ირონიულად შენიშნავს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. სასულიერო პირი ხედავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ ოფიციალურად გაუქმებული არ იყო, მაგრამ სახეზე იყო ახალი, მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის ბატონობა, ქართულ ენას სახელმწიფო დაწესებულებებში ენაცვლებოდა რუსული. თუ მეცხრამეტე საუკუნეში გარუსების იმპერიულ ოცნებათა რეალიზაციას ქართველი თავად-აზნაურობა უწყობდა ხელს, „დღეს ამ სამარცხვინო იუდას როლს ასრულებენ ქართველი კომუნისტები: ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, კოტე ცინცაძე, ერქომაიშვილი, ბიბინეიშვილი, სევასტი და ისიდორე თალაკვაძეები... საშინელი მოღალატეებია ეს ჩვენი კომუნისტები, ამის მსაგავსი ჯერ არ ახსოვს ისტორიას. არ ვიტყვი, რომ ამათ ეს შეუგნებლობით მოსდიოდეთ, არა, იციან და ცნობით გვყიდიან, რომ დროებით მაინც ძალაუფლება შეინარჩუნონ... გაჩანაგდა საქართველოს დოვლათი, გაზიდეს ყველაფერი რუსეთში, გაავერანეს ქვეყანა, აივსო თბილისი სომეხკრუებით, რუსებით, ოსებით, ურიებით... აღარ გვაყენებენ, ბინებში გვივარდებიან...

წართმევა-წაგლეჯა, სოფლად ჭირნახულის წართმევა, ქალაქად საშინელი დაბეგვრა, სახლების მესაკუთრეთაგან უფასო ჩამორთმევა და სარგებლობა... არავინ არის ამის გამკითხავი... ქართველობა ციხეში ჰყრია, ოქტომბრის რევოლუციის 4 წლისთავს კი ზეიმობენ სხვა ეროვნებანი ჩვენს დედაქალაქში. ნეტავი სირცხვილი სად დაკარგეს ჩვენმა თანამემამულეებმა. ასეთი გათახსირება არ ახსოვს ჩვენს ისტორიას."[7]

პატრიოტი სასულიერო პირი მტკივნეულად განიცდიდა იმ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ პროცესებს, რაც ახლდა ბოლშევიზმის დამკვიდრებას საქართველოში. მისი აზრით, 1921 წლის შემოდგომაზე გამოცხადებული საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის ფედერაცია ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის სრულ გაქრობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში აღარავინ იყო ამ პროცესების შემჩერებელი, ვინაიდან „ხალხი მეტად დაქსაქსულია, ინტელიგენცია თიითქმის სულ ერთიანად ციხეშია გამომწყვდეული, ნადირობენ მენშევიკებზე, იჭერენ და და უწყლოდ ხვრეტენ „ჩეკაში", ყოველღამ დიდძალი ბურჟუაზია და ინტელიგენცია იხვრიტება."[8]

მან ადვილად შეამჩნია ის დაპირისპირებანი, რომელიც ქართველ ბოლშევიკებს შორის წარმოიშვა. ერთ დროს დაწინაურებული ფილიპე მახარაძე ჩამოაქვეითეს, დაწინაურდა ბუდუ მდივანი. მისი დაკვირვებით, ქართველ კომუნისტთა შორის დაპირისპირების მიზეზი იყო ამირკავკასიის ფედერაციის საკითხი, თუმცა როდესაც საქმე ინტელიგენციის და მენშევიკების დაჭერას ეხებოდა, ამ საქმეში ერთსულოვნებას იჩენდნენ. „ყველაფრიდან ჩანს, რომ კომუნიზმმა რუსეთში ჩაიცვა იმპერიალისტური ქურქი, სურს მას სოციალიზმი-კომუნიზმის მანტიის ქვეშ ძველი რუსეთის საზღვრები აღადგინოს. ამ ტრაგი-კომედიაში მონაწილეობენ ქართველი კომუნისტებიც, ამათ თვალს უბამენ „საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობით", ნამდვილად კი სასაცილო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი. ნამდვილი პამპულებია ეს ახალი დროის მოღალატენი".[9]

სასულიერო პირის ჩანაწერებში საინტერესოდაა აღწერილი კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამოძახილი საქართველოში. მემორანდუმის ამბავმა ძალიან გააღიზიანა ბოლშევიკები. კათალიკოზი ვარაუდობდა, რომ დააპატიმრებდნენ. საოკუპაციო ხელისუფლების სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ქართველმა ახალგაზრდებმა მაინც მოახერხეს 1921-1922 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღნიშვნა. თბილისში, პროვინციებში ახალგაზრდობა გამოვიდა დამოუკიდებლობის ლოზუნგებით, მღეროდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღებულ სახელმწიფო ჰიმნს, აფრიალებდნენ შინდისფერ სამფეროვან დროშებს. სასულიერო პირი აღწერს, როგორ დაარბიეს ანტისამთავრობო დემონსტრაცია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში 1922 წლის 24 მაისს. საოკუპაციო სამხედრო ნაწილის მეთაურმა უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს აგრესიულად მოსთხოვა რუსულად ილაპარაკეო, შემდეგ კი პროფესორ ანდრია რაზმაძესთან ერთად მცირე ხნით თბილისის სამხედრო კომენდატურაში წაიყვანა. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მემუარებმა შემოგვინახა 1922 წლის 13 ივნისს „ჩეკაში" დაკითხვაზე წაყვანილი კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას თავს გადამხდარი უსიამოვნების ყველა დეტალი. „14 ივნისს შეიკრიბა საკათალიკოზო საბჭოს სხდომა, რომელიც კათალიკოზმა გახსნა... სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ ერთ დღეში დიდი სულიერი ტანჯვა გამოევლო. როგორც მან საკათალიკოზო საბჭოს წევრებს უამბო, დაკითხვა

„ჩეკას“თავმჯდომარეს კოტე ცინცაძეს უწარმოებია. „ჩეკას“აინტერესებდა, მის გარდა ვინ იღებდა მონაწილეობას მემორანდუმის შედგენაში. “ვინ ამოგირჩიათ თქვენ საქართველოს ოპეკუნად?“ პატრიარქს უპასუხია: „ამომირჩია გელათში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა, მე მოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამამთავარი, აღვიმაღლო ხმა, როდესაც ასეთი ვითარება იქმნება, რომელშიც შეუძლებელი ხდება ერის რელიგიურ-ზნეობრივი აზრის შენარჩუნება, როდესაც ერს ერთმევა საშუალება თავისუფალი მოქალაქეობისა“. კოტე ცინცაძემ კათალიკოზს ჰკითახა: რატომ მენშევიკების დროს არ იმაღლებდით ხმასო, კათალიკოზმა უპასუხა: მართალია, ისინი ურწმუნონი იყვნენ, მაგრამ მაინც უფრო ეროვნულად იქცეოდნენ და იცავდნენ იმას, რაზეც ახლა ეკლესიას მოუხდა ხმის ამაღლება. თქვენი მცდელობა, - მიმართა „ჩეკას“ თავმჯდომარეს, - თითქოს საქართველო დამოუკიდებელია, სიცრუეა. მთელი ძალაუფლება „ოსობაია კავკასკაია არმიის“ ხელშია. ამ სიტყვებმა კოტე ცინცაძეს წონასწორობა დააკარგვინა და დაიწყო მტკიცება: „ჩვენ ჩავატარეთ დემოკრატიული არჩევნები, რომ შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, რომ საქართველოში მყოფი რუსის ჯარი ქართველებს არაფერს უშავებს, პირიქით იცავსო“, მაგრამ პატრიარქმა ამხილა ხელისუფლება ტყუილსა და სიცრუეში. კოტე ცინცაძემ კათალიკოზს გულახდილად განუცხადა: „ჩვენ რევოლუციას ვაწარმოებთ, პროლეტარიატის დიქტატურა გამოვაცხადეთ, წარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგეებისადმი, ყველა თავისუფლება რაც არის, ეს მხოლოდ ჩვენთვის გვინდა, თქვენ და თქვენი დრომოჭმული მიმდევრები ცხოვრებიდან გარიყულნი ხართ... თქვენ უმაღლესი განათლებაც გქონიათ მიღებული, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ახლა სხვა დროა ?“[10]

დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის დასკვნით, დაკითხვაზე მყოფი კათალიკოზისათვის წერილობით პასუხი მოუთხოვიათ შემდეგ კითხვებზე: 1. როდის და რამდენი ქონება გაზიდეს რუსებმა საქართველოდან? 2. რაში გამოიხატება ბოლშევიკების მიერ საქართველში სარწმუნოების დევნა? 3. რა ვნება მოაქვს რუსის ჯარის ყოფნას საქართველოში? კათალიკოზის გადმოცემით, დაკითხვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.„ჩეკას“თავმჯდომარე კორექტულად იქცეოდა და დაკითხვის ბოლოს მდივანს გადაულაპარაკა, მანქანით მიაცილეთ შინამდეო. კოტე ცინცაძე შემდეგ „ნაციონალ-უკლონისტების“ ჯგუფში აღმოჩნდა, ამიტომ იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და კათალიკოზის დაკითხვები დაიწყო ახალგაზრდა ლავრენტი ბერიამ. შესაბამისად, გაძლიერდა აგრესიული ქმედებები კათალიკოზის და სხვა სასულიერო პირების მიმართ. საყურადღებოა სასულიერო პირის მიერ დანახული მძიმე რეალობა - გრძელდებოდა რეპრესიები, ადამიანთა დახვრეტები, დაშინება. კომუნისტური პროპაგანდა ხალხს ატყუებდა დიადი აღმშენებლობის პროექტებით. ხალხში ვრცელდებოდა ჭორები კათალიკოზის შესაძლო დაპატიმრების შესახებ. რეპრესიების მიუხედავად, საზოგადოების დიდი ნაწილი პროტესტს უცხადებდა საოკუპაციო ხელისუფლებას. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს აღწერილი აქვს 1922 წლის 22 ივნისს, ნაძალადევის თეატრში ბუდუ მდივნის მიერ ხალხთან შეხვედრა, სადაც მუშებმა მას კრიტიკული კითხვები დაუსვეს და გაამასხარავეს, რაზედაც განრისხებული მდივანი ყველას დახვრეტით ემუქრებოდა. სასულიერო პირი შეშფოთებულია საოკუპაციო ხელისუფლების იმ განზრახვით, რომელიც დედაქალაქის ქუთაისში გადატანას, ხოლო თბილისის ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადებას გულისხმობდა. ეს ხომ დაშნაკური პროექტი იყო,

რომელიც, საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა. დეკანოზი სინანულით აღნიშნავს, საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანება დამოუკიდებლობის მცირე შანსსაც აღარ უტოვებს ქვეყანასო. იგი ყურადღებას ამახვილებს მოღალატე ფილიპე მახარაძის 1922 წლის 6 დეკემბრის საიდუმლო წერილზე, რომელიც მას მოსკოვში გაუგზავნია, სადაც პირდაპირ აღნიშნავს, რომ მომხრეა საქართველოს რუსეთთან სრული გაერთიანების და ამ მარიონეტს „საცოდავ მოღალატეს“ უწოდებს. სასულიერო პირი დაწვრილებით აღწერს კამოს (ტერ-პეტროსიანის) დაღუპვას და მის პომპეზურ დაკრძალვას თავისუფლების მოედანზე და წინასწარმეტყველურად დასძენს: „სულ ერთია, რაც არ უნდა ჩაჰკიროთ და ჩაფისოთ, აქ კამოს ადგილი არ არის და ბოლოკის კუდივით ამოსძურწავენ მიწიდანო“.[11]

გამართლდა დეკანოზის ვარაუდი - კამო გასული საუკუნის 90-იან წლებში გადასვენებულ იქნა. სასულიერო პირი მართებულად შენიშნავს, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და იქ საქართველოს გაერთიანება გარუსების და დენაციონალიზაციის სწრაფი ტემპით განხორციელების საშუალებაა, რასაც ქართველი ბოლშევიკების ნაწილიც ადასტურებდა. ამ საკითხებზე ბოლშევიკებს შორის დავა ქართულ ისტორიოგრაფიაში „ნაციონალ-უკლონიზმის“ სახელითაა ცნობილი. სასულიერო პირისათვის ბოლშევიკები მიუღებელნი იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ე.წ. „ნაციონალ უკლონისტები“ (ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივნი) ერჩივნა ინტერნაციონალიზმის წითელ ქურქში გამოწყობილ მოღალატეებს (სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა). დეკანოზი გულისტკივილით წერს, „ჩვენ თვალწინ ხდება საქართველოს რუსთ ბატონობის ქვეშე ახალი „სოუსით“ შესვლა, წინათ „პრავოსლავიე“ იყო ბერებით, მღვდელებით, თავად-აზნაურობით და ამათი წრიდან გამოსული რეგენტებით. დღეს იგივე ამბავი ხდება „სოციალიზმ-კომუნიზმის წითელი დროშის ქვეშე პროლეტარიატის წრეებიდან გამოსული რენეგატებით.“[12]

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერს ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების ანტირელიგიურ საქმიანობას 1921-1932 წლებში. ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლები ადმინისტრაციული წესით როგორ ხურავდნენ ეკლესიებს, აიძულებდნენ სასულიერო პირებს, უარი ეთქვათ და საჯაროდ დაეგმოთ ქრისტიანული სარწმუნოება, როგორ გაჰქონდათ ეკლესიებიდან ძვირფასეულობა, ცდილობდნენ ეკლესიის შიგნიდან აფეთქებას მოღალატე სასულიერო პირების მეშვეობით, 1923 წლის ნოემბერში როგორ შეიჭრნენ მთავრობის წარმომადგენლები საკათალიკოზო სასახლეში და უხეში ფორმით მოსთხოვეს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის შენობის დაცლა, როგორ დაიწყო კათალიკოზის შინაპატიმრობა, რა განუკითხაობა სუფევდა პროვინციებში. სამშობლოს ერთგული, ღირსეული მამულიშვილების დაპატიმრება-გადასახლება და დახვრეტები ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. დეკანოზი ამ რთულ, კრიტიკულ ვითარებაში ეკლესიური ცხოვრების განახლებას დაა ხალხთან დაახლოებაში ხედავს გადარჩენის გასაღებს. დღეს „ჩვენ გმართებს, ეკლესიის განახლების, გადახალიების დაწყება. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ჩვენი ერის მიერ შექმნილ ნიადაგზე. ჩვენი ეკლესია უნდა ჩამოყალიბდეს ქართულ დარჯაკში, ძველ ქართულ ტრადიციების, წესების, ღვთისმსახურების აღდგენაში და თან გაცხოველებაში. რუსთა ბატონობის დროს მეტად შეგვირყვნეს ჩვენი ეკლესიის სახე, მისი შინაგანი თუ გარე მოხაზულობა. ჩვენ გვსურს, ჩვენ ვესწრაფით ყოველივე ამის აღდგენას, ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ცხოვრების ათასგვარ ნარიყალების და ცრუ მორწმუნოებისაგან გაწმენდა-გასუფთავებას, მაგრამ არ დაგვცალდა

ასეთი მუშაობა ზოგი ჩვენივე წარმოებული შუღლით, მექიშპეობით, უაზრო განხეთქილებებით, რაც ჩვენ თვითონ დავატრიალეთ ახლადგანთავისუფლებულ ეკლესიაში... განთავისუფლებულ საქართველოს ეკლესიას აედევნა ეკლესიის და საწმუნოების დაუძინებელი მტერი მატერიალისტური სოციალიზმი და მისი უკიდურესი მიმართულება მებრძოლი კომუნიზმი, რომელმაც თვითონ მიიღო რელიგიის სახე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა რელიგიას და, კერძოდ, ქრისტიანობას... ტაძრები მიაქვთ, მღვდლები დააპატიმრეს, „ჩეკაში“ სხედან ჩვენი დედაქალაქის მოხუცი მოძღვრები, ზოგიერთ ტაძარში წირვაც აღარ სრულდება... ეს სირცხვილია, ეს არის დევნა სარწმუნოებისა“,[13] - გულისტკივილით წერს იგი.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ისტორიკოსისათვის შესაშური ობიექტურობით აკეთებს ანალიზს ახალი საბჭოთა სისტემის შესახებ და დასძენს, იმ დროს როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობს, კომუნისტი ჩინოვნიკები არაფერს იკლებენ და თავიანთ ოჯახებს ფუფუნებაში აცხოვრებენო. იგი სვამს რიტორიკულ კითხვას: სად მიგვიყვას ასეთი აბობოქრებული,უსამართლო ცხოვრების ხომალდი? ასეთი ძალადობით, ძალმომრეობით უკეთესობა არ მოვა, კატასტროფა კი გარდუვალიაო. მან 1929 წელს, სტალინის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართული საზეიმო მილოცვების გადათვალიერებისას, ირონიულად შენიშნა, სემინარიიდან გარიცხული კაცი ლენინის გარდაცვალების შემდეგ ყოფილა კომპარტიის სული და ტვინიო.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ვრცლად საუბრობს მეოცე საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტების ხელშეწყობით ქართველთა დენაციონალიზაციის ვერაგულ გეგმაზე, რაც სამეგრელოს რეგიონში ქართული ენაზე სწავლების გაუქმებას და მისი მეგრულით ჩანაცვლებას გულისხმობდა. სასულიერო პირი იხსენებდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილ ამბებს, როდესაც დეკანოზ ივანე ვოსტორგოვის ხელშეწყობით დაიწყო მოძრაობა სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის გამოსადევნად. ამჯერად მეგრული სეპარატიზმის წარმომადგენლებმა ციბაკ ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ და სხვებმა ხალხის სახელით მიმართეს საკავშირო ცაკის თავმჯდომარეს მ. კალინინს და მოითხოვეს სამეგრელოს ავტონომიის შექმნა, რომელიც უშუალოდ მოსკოვზე იქნებოდა დაქვემდებარებული, ვინაიდან, მათი მტკიცებით, მეგრელები არ არიან ქართველები, მეგრული ენა დამოუკიდებელია და არაფერი აკავშირებს ქართულთან. როგორც ჩანს, მოსკოვიდან გარკვეული მხარდაჭერის და ქართველი ბოლშევიკების ერთი ნაწილის ხელშეწყობით, 1929 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო იღებენ ერთობლივ დადგენილებას, ზუგდიდის მაზრის იმ სოფლებში, რომლის მოსახლეობამ არ იცის ქართული საქმის წარმოება, გადავიდეს მეგრულ ენაზე. სასულიერო პირის აზრით, ეს დადგენილება არის „განგრენა, რომელიც მთელი სამეგრელოს ორგანიზმს გამოხრავს, გამოფიტავს და ყირამალა დააყენებს იქ ქართულ კულტურას, მის პროგრესიულ მსვლელობას“.[14]

შემდეგ იგი იხსენებს ვოსტორგოვთან და აშორდია მაფშალუების წევრებთან ბრძოლას, რენეგატი ეპისკოპოსის დიმიტრი აბაშიძის მიერ ვოსტორგოვისადმი მხარდაჭერას, მაგრამ ასევე სამეგრელოს მოსახლეობის სწორ პოზიციას, რამაც მაშინ ჩაშალა საქართველოს დანაწევრების ეს ვერაგული გეგმა. ახლა კიდევ ეს განსაცდელი რით დასრულდება მისთვის უცნობია. სასულიერო პირი კვლავ უბრუნდება აღნიშნულ პრობლემას და აკრიტიკებს საქ. კპ.

(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. კახიანს, რომელმაც მხარი დაუჭირა მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის და გაზეთ „ყაზახიშის“ გამოცემას. იგი დანანებით წერს აკადემიკოს ნიკო მარზე, რომელიც თავის დროზე ეკამათებოდა ვოსტორგოვს, ხოლო ახლა კომუნისტებს უჭერს მხარს და ხელთათმანივით იცვლის თავის შეხედულებებს. სასულიერო პირს არ გამორჩენია მ. კახიანის პირით მთავრობის ნათქვამი, რომ ივანე ჯავახიშვილი და მისი მოწაფეები საშიშია უნივერსიტეტისათვის, რომ საჭიროა ბოლშევიკური ცოცხით ჩავლა და უნივერსიტეტის გაწმენდაო. სულ მალე თბილისის უნივერსიტეტიდან გააძევეს ძველი პროფესურის დარჩენილი ნაწილი და მათ ადგილზე „წითელი პროფესურა“ მიიყვანეს. დეკანოზი სინანულით წერს იმ საშინელ რეპრესიებზე, რომელიც სოფლად წარმოებდა ე.წ. „კულაკების“ წინააღმდეგ, რომელთაც ართმევდნენ ყველაფერს და საბჭოთა ხელისუფლების მტრებად მიიჩნევდნენ. ქვეყანაში გრძელდებოდა ანტირელიგიური ისტერია. 1930 წლის 23 იანვარს ხელისუფლებამ სიონის საკათედრო ტაძრის სამრეკლოდან ჩამოხსნა დიდი ზარი. ამას მოჰყვა სხვა ეკლესიებიდან ზარების ჩამოხსნა. „აღარ გაისმის ზარების ხმა შეწყდა ყველგან“,[15] - წერდა ნიკიტა თალაკვაძე. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დეკანოზის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კოლექტივიზაციის დროს ხელისუფლება ეყრდნობოდა საქართველოში შემოსახლებულ არაქართველებს, განსაკუთრებით შიდა ქართლში - ოსებს, რომელთაც ხელისუფლების დახმარებით მიიტაცეს ქართველი თავად-აზნაურობის მამულები. „ოსებმა საქართველოში მოიპოვეს დაკარგული სამშობლო... შორს არ არის ის დრო, როდესაც გაერთიანებული ოსები უფრო დიდი პრეტენზიებთ წარსდგებიან საქართველოს წინაშე.“[16]

სასულიერო პირი გულისტკივილით აღწერს ხელისუფლების მიერ სოფლად იძულებითი კოლეტქივიზაციის დროს დაშვებულ შეცდომებზე, რაც თვით ი.სტალინმა აღიარა 1930 წლის 4 მარტის წერილში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. დეკანოზის ჩანაწერებში საინტერესოდაა გადმოცემული, თუ რა რეაქცია მოჰყვა საბჭოთა საქართველოში დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მცდელობას, დახმარებოდნენ ადამიანებს, რომლებიც განიცდიდნენ რელიგიურ დევნას. საბჭოთა ხელისუფლების კარნახით, 1930 წლის 19 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შეიმუშავა საპროტესტო განცხადება „იმპერიალისტების და „წმინდა მამების“ პროვოკაციის წინააღმდეგ“, რომელშიც მკაცრად დაგმო რომის პაპის, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურის, ებრაელთა რაბინის ქმედებანი. იმ დროს, როდესაც ასობით სასულიერო პირი დახვრიტეს, მრავალი იძულებით განმოსეს და სატუსაღოებში გამოამწყვდიეს, ადმინისტრაციული წესით დაკეტეს ან დაანგრიეს მრავალი ეკლესია-მონასტერი, დიდი გადასახადებით დაბეგრეს სასულიერო იერარქები და ხელისუფლებისაგან ოფიციალურად დეკლარირებული სინდისის თავისუფლება ფეხქვეშ გათელეს, საქართველოს ეკლესიის მეთაურის კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის განცხადება, „რომის პაპი ვერ გამოვა თავისუფლების დამცველის როლში, მან ააწიოკა მართლმადიდებელთა ეკლესია პოლონეთში და სხვაგან, „ღმერთმა გვაშოროს ასეთი დამცველები“, რომელიც 1930 წლის 21 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (N64), იყო სრული კატასტროფა და საბჭოთა მონობისადმი შემგუებლობის კლასიკური მაგალითი.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ეხება „კონდრატიევჩინის“ წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტში (ყოფილი უნივერსიტეტი ს.ვ), სადაც ახალმა რექტორმა ივანე ვაშაყმაძემ მკაცრად დაგმო პროფესორების: ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, გრიგოლ წერეთლის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სერგი დანელიას

მეცნიერული მემკვიდრეობა, რომ ისინი მტრულად არიან განწყობილი მუშათა კლასის მიმართ, რომ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ ესაა ფაქტების გროვა და ნაციონალიზმით გამსჭვალული. დეკანოზი აკრიტიკებს პროფესორების შალვა ნუცუბიძის და კორნელი კეკელიძის შემრიგებლურ პოზიციას და მიიჩნევს, რომ თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ხელისუფლების სრულ კონტროლქვეშ მოექცა და მან დაკარგა საგანმანათლებლო ფუნქცია. სასულიერო პირის ჩანაწერებში დაწვრილებითაა მოთხრობილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ თბილისსა და პროვინციებში ეკლესია-მონასტრების დარბევა-გაუქმების მტკივნეული პროცესი. ხელისუფლებამ ანდერძი აუგო ეკლესიას საქართველოში, - გულისტკივილით აღნიშნავს იგი.

1933 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. დასრულდა ამ გამორჩეული ინტელექტუალი სასულიერო პირის ცხოვრება, რომელმაც თავისი ცოდნა და თავდადება მიუძღვნა საქართველოს ეკლესიას, ქართველ ხალხს. მას ხვდა პატივი, ყოფილიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა შორის, ხელი მოეწერა 1917 წლის 12 მარტის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტისათვის, ეღვაწა კათალიკოზ-პატრიარქების: კირიონის, ლეონიდის, ამბროსის გვერდით, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ იძულებით დატოვა სასულიერო ხარისხი, გადაიტანა მრავალი განსაცდელი... მის მოგონებებში ასეთი ჩანაწერიც გხვდება: „1922 წელი, 18 ივლისი დაუვიწყარია ჩემთვის! დღეს პურის ფული აღარ მაქვს, მეტად დიდ კრიზისს განვიცდი“.[17]

მიუხედავად ყველაფრისა, მას არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისა და ღირებულებებისათვის. მისი მემუარები ძვირფასია თანამედროვე მკვლევართათვის, ვისაც აინტერესებს მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ბოლშევიზმის მმართველობა საქართველოში. რასაკვირველია, ასეთი ტიპის ჩანაწერებში არის ავტორის გარკვეული სუბიექტურობაც, მაგრამ ჩვენი ვალია კარგად გავიაზროთ იგი და გამოვიყენოთ, როგორც ეპოქის გააზრებისათვის ძვირფასი წყარო.

საძიებელი

1. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. (2013). „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“. (იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ნ. თალაკვაძის ფ. გვ. 230). თბ.
2. ჟურნ. „მიჯნა“, N.2. 2017 წ. გვ.5;
3. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“, გვ. 67;
4. იქვე, გვ. 73;
5. იქვე, გვ. 65;
6. იქვე, გვ. 127;
7. იქვე, გვ. 156-157;
8. იქვე, გვ. 169;
9. იქვე, გვ. 196;
10. იქვე, გვ. 275-277;
11. იქვე, . გვ. 322;
12. იქვე, გვ. 510;
13. იქვე, გვ. 521-522;
14. იქვე, გვ. 555;
15. იქვე, გვ. 595;
16. იქვე, გვ. 600;

17. იქვე, გვ. 323.

გამოყენებული ლიტერატურა:

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. (2013). *„მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“.* (იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ნ. თალაკვაძის ფ. გვ. 230). თბ.

ჟურნალი „*მიჯნა*“, N.2. 2017 წ. გვ.5.

REFERENCES

dek'anozi nik'it'a talak'vadze. (2013). „*mokalake mghvdlis dghiuridan“.* (ikh. g. leonidzis sakh. lit'erat'uris muzeumi, n. talak'vadzis p. gv. 230). ["Citizen from the Priest's Diary",(see C. Leonidze Museum of Literature, n. Talakvadze F. P. 230)]. Tb.

zhurn. „*mijna“,* N.2. 2017 ts'. gv.5 [Journal "Mijna", N.2. 2017 P.5].